



ტურიზმის სექტორში არსებული გამოწვევები და რეკომენდაციები

29 სექტემბერს, ყაზახურ-ქართული ეკონომიკური გაერთიანების ორგანიზებით და PMC კვლევითი ცენტრის მხარდაჭერით, საქართველოში ყაზახური ტურისტული ნაკადის მნიშვნელობისა და პერსპექტივების შესაფასებლად შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება ჰიბრიდულ ხასიათს ატარებდა - ადგილზე დამსწრეები ტურიზმის საჯარო და კერძო სექტორებს წარმოადგენდნენ, ონლაინ ფორმატში კი, ჩართულები იყვნენ აღნიშნული ბაზრის განვითარებით დაინტერესებული პირები.

შეხვედრის მონაწილეებისთვის მოხდა ყაზახურ-ქართული ეკონომიკური გაერთიანებისა და წამყვანი საბროკერო, საკონსულტაციო და საინვესტიციო კომპანია TBC Capital-თან ერთად ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაციის ჩვენება. კვლევა მოიცავდა ყაზახეთსა და საქართველოს შორის 2006-2020 წლების პერიოდის ტურისტული ნაკადების სტატისტიკასა და შესაბამის რიცხობრივ მაჩვენებლებს.

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით გაიმართა მსჯელობები ყაზახური-ქართული ბაზრის მნიშვნელობაზე, გამოწვევებსა და პოტენციალზე. მონაწილეების ჩართულობით გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც აფერხებს მეტი ყაზახი ტურისტის მოზიდვას საქართველოში, ასევე, ღონისძიებები, რომლებიც განსახორციელებელია ორ ქვეყანას შორის ტურიზმის მიმართულების გაძლიერებისა და განვითარებისთვის. კვლევის მიხედვით, 2011 წლიდან 2019 წლამდე, ყაზახეთიდან საქართველოში ჩამოსული ტურისტების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 25,9%-ით გაიზარდა. შემდგომი ქმედებები მიმართული უნდა იყოს ყაზახი ტურისტების პრეფერენციების შესწავლაზე, რათა არა მხოლოდ გავზარდოთ მათი ნაკადი, არამედ შევინარჩუნოთ ღირებულება.

დოკუმენტი წარმოადგენს შეხვედრის მოკლე მიმოხილვას, ტურიზმის სექტორში დღეს არსებული გამოწვევების და ტურისტული ნაკადების ზრდისთვის სამომავლო რეკომენდაციების შესახებ:

1. არსებული გამოწვევები

მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის სხვა ნიშების პოპულარიზაცია, ყაზახეთის ტურისტებისთვის შეთავაზება, რომელიც რეგიონში ექსკლუზიურად საქართველომ შესაძლოა უზრუნველყოს, მაგალითად, აგროტურიზმი, ასევე სათავგადასავლო ტურიზმი, სარეკრეაციო და ბალნეოლოგიური ტურიზმი, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო აქტუალური ხდება.

ყაზახური ნაკადების ზრდის ტემპი მიმდინარე ეტაპამდე თვითღინებით ხასიათდება, რაზეც მეტყველებს ყაზახურ ბაზარზე ფრაგმენტული და არა პერმანენტული კომუნიკაცია, რაც თავის მხრივ ქვეყანაში ყაზახი ტურისტის სრულფასოვანი ცოდნის დეფიციტით არის განპირობებული. დარგის მოთამაშეების კოორდინაცია და რესურსების ოპტიმიზაცია ცხადი გამოწვევაა, რაც ცალსახად ააჩქარებს ტემპს, მნიშვნელოვნად გაზრდის რაოდენობას და ინტენსივობას. საბოლოო ჯამში, ყველა ძალისხმევამ უნდა გამოიწვიოს



ყოველწლიურად არანაკლებ 500 000 ყაზახი ტურისტის მოზიდვა, რაც ქვეყნიდან გამსვლელი ტურისტების მხოლოდ 5%-ს შეადგენს.

2. სამომავლო რეკომენდაციები

სამომავლო რეკომენდაციები სწორედ აღნიშნული გამოწვევების დაძლევის ითვისებისთვის. პირველ ეტაპზე, არსებული სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირებისა და შემდგომში მიზანმიმართული კომუნიკაციის წარმოების მიზნით, შესამუშავებელია სამოქმედო გეგმა, რომელსაც საფუძვლად დაედება ყაზახეთი-საქართველოს ტურისტული პოტენციალის და ყაზახი ტურისტის დეტალური ანალიზი (კვლევა). ტურისტული პოტენციალის ათვისებისა და ახალი სეგმენტების მოზიდვისთვის, საჭიროა თვითდინებადი ტურიზმის მიღმა გასვლა. მნიშვნელოვანია ახალი ტურისტული ატრაქციებისა და მიმართულებების ჩამოყალიბება და მათი პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ასევე MICE ტურიზმის მიმართულებების წინა პლანზე წამოწევა და ყაზახეთის ბაზარზე მიზანმიმართული მარკეტინგული კამპანიის წარმოება. აღნიშნულის მისაღწევად, საჭიროა როგორც სახელმწიფოსა და კერძო სექტორის რესურსებისა და ძალისხმევის სინერგია, ასევე ყაზახურ და ქართულ ტურისტულ ოპერატორებს შორის ინტერაქციის გაძლიერება.

ყაზახურ-ქართული ეკონომიკური გაერთიანება განაგრძობს კოორდინირებულ მუშაობას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან და მომავალშიც აქტიურად გეგმავს შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების ორგანიზებას, რათა ხელი შეუწყოს საქართველოში ყაზახური ტურისტული პოტენციალის სრულად ათვისებას და ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

